2015

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

2015 წლის ანგარიში

სარჩევი

აბრევიატურებისა და ცნებების განმარტებები 3

2015 წლის ანგარიში 4

1. ორგანიზაციული განვითარება 5

2. განათლების ხარისხის უზრუნველყოფა და განვითარება 15

3. კვალიფიკაციების განვითარება 24

4. საქართველოში და საზღვარგარეთ მიღებული განათლების დადასტურება (აღიარება, ნამდვილობა, აპოსტილი და ლეგალიზაცია) 26

5. სტუდენტთა მობილობა 30

6. საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოება 31

7. ინტერნაციონალიზაცია 32

8. პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამა 39

9. პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და ინტერნაციონალიზაცია 43

დანართი 1. 46

დანართი 2. უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები 47

დანართი N3 2015 წლის ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს ცვლილებები 53

აბრევიატურებისა და ცნებების განმარტებები

ა(ა)იპ	არასამეწარმეო იურიდიული პირი
სამინისტრო	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
სსიპ	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
უსდ	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
შპს	შეზღუდული პასუხისმგებლობის ორგანიზაცია
ცენტრი	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
BA	საბაკალავრო პროგრამა
BFUG	ბოლონიის პროცესის განხორციელების ჯგუფი
EFQM	ხარისხის განვითარების ევროპული ფონდი
ENQA	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია
EQF	ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩო
GIZ	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება
MA	სამაგისტრო პროგრამა
MCA-G	ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო
ME	ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა
Phd	სადოქტორო პროგრამა
UNDP	გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა

2015 წლის ანგარიში

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირია (სსიპ). ცენტრი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №89/ნ ბრძანების საფუძველზე, 2010 წლის 14 სექტემბერს სსიპ -აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა.

ხედვა

ცენტრის მომავლის ხედვაა, საქართველოში საგანმანათლებლო დაწესებულება იყოს მყარი და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული ცოდნის კერა. ცივილიზებული სამყაროს ფეხდაფეხ ის ზრუნავდეს თავისუფალი და კომპეტენტური ადამიანის ჩამოყალიბებაზე და წვლილი შეჰქონდეს ქვეყნის სამეცნიერო, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში.

მისია

ცენტრის მისიაა, სახელმწიფოს სტრატეგიისა და საერთაშორისო თანამეგობრობაში გაერთიანების მიზნების შესაბამისად, განათლების ხარისხის კონცეფციის მუდმივი განახლება; სტანდარტების შემუშავება, მათი უზრუნველყოფისა და განვითარების მექანიზმების დანერგვა. ამგვარად, ცენტრი ხელს უწყობს უმაღლეს, პროფესიულ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლისა და კვლევისათვის აუცილებელი გარემოსა და პირობების შექმნას.

საქმიანობის სფერო

ცენტრი, საგანმანათლებლო დაწესებულებების გარე ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ახორციელებს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციას და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას, ასევე მონიტორინგს უწევს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების შესრულებას. ცენტრი მუშაობს განათლების ხარისხის უზრუნველყოფის როგორც გარე, ასევე შიდა მექანიზმების განვითარებასა და დანერგვაზე და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებაზე. ცენტრი ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განვითარებას. ასევე ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოების და შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, იგი მუშაობს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დახვეწაზე. ცენტრი აწარმოებს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრს და ახორციელებს სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას. საგანმანათლებლო დოკუმენტების სანდოობისა და მიღებული განათლების სწავლის შედეგების სახელმწიფოს მიერ აღიარებულ კვალიფიკაციებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ცენტრი ახორციელებს საგანმანათლებლო დოკუმენტების აღიარებას, ნამდვილობის დადასტურებას, ლეგალიზაციასა და აპოსტილით

დამოწმებას. ასევე ამოწმებს განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის-დიპლომის ენობრივ სისწორეს. ცენტრი თანამშრომლობს საერთაშორისო და უცხო ქვეყნების შესაბამის ორგანიზაციებთან და ჩართულია საერთაშორისო პროექტებში.

1. ორგანიზაციული განვითარება

2015 წელს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა საქმიანობა ახალი ორგანიზაციული სტრუქტურით (იხილეთ დანართი 1) გააგრძელა და ორიენტირებული იყო თავისი საქმიანობის შინაარსობრივ განვითარებასა და დახვეწაზე. ცენტრი ძირითადად შემდეგი ოთხი მიმართულებით მუშაობდა:

- ორგანიზაციული განვითარება;
- განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დახვეწა და პროცესების ინტერნაციონალიზაცია;
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს განვითარება;
- პროფესიული განათლების ხელშეწყობა.

1.1 ცენტრის სტრატეგიის განახლება

2015 წელს დაიწყო ცენტრის 2013–2017 წლის სტრატეგიული გეგმის განახლების პროცესი.

ცენტრის ახალი 2016-2020 სტრატეგიული გეგმის შემუშავება თანამშრომლების თანამონაწილეობით მინდინარეობდა. 2015 წლის სექტემბერს, საერთაშორისო ექსპერტის ფასილიტაციით, განხორციელდა სტრატეგიული ჩარჩოს განხილვა და

რევიზია.
შეიქმნა სამუშაო ჯგუფები და ჩატარდა სამუშაო შეხვედრები. ცენტრი აგრძელებს სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობას და გეგმავს პროცესებში დაინტერესებულ პირთა აქტიურ ჩართულობას.

განახლებული სტრატეგია დამტკიცდება 2016 წელს.

1.2 ცენტრში ხარისხის მართვის ევროპული მოდელის (EFQM) დანერგვა

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ), კერძო სექტორის განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, ცენტრის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, 2015 წელს დაიწყო შიდა ხარისხის მართვის სისტემის, კონკრეტულად, **ხარისხის მართვის ევროპული ფონდის, განვითარების მოდელის** (EFQM Excellence Model), დანერგვის პროცესი. მოდელი ეფუძნება სამ ძირითად კომპონენტს:

განვითარების ფუნდამენტალურ კონცეფციებს - ძირეული პრინციპები, რომლებიც მნიშვნელოვანია დაინტერესებულ პირთა უწყვეტი კმაყოფილების მისაღწევად და ორგანიზაციის იმ კუთხით გასავითარებლად რაც დაეხმარება მას უწყვეტი გაუმჯობესების მიღწევაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში;



მოდელის ჩარჩოს - რომელიც შედგება 9 კრიტერიუმისაგან, აღწერს საკითხებს და პროცესებს, რომლებზეც ორგანიზაციამ უნდა იზრუნოს, რათა ფუნდამენტური კონცეფციები და რადარის ლოგიკა დანერგოს პრაქტიკაში.



© EFQM

რადარის ლოგიკას - შეფასების დინამიური ჩარჩო, მენეჯმენტის ძლიერი ინსტრუმენტი, ორგანიზაციის განვითარების ხერხემალი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რადარის ლოგიკა მთავარი ფაქტორია განვითარების გზაზე.



30,000-ზე მეტი ორგანიზაცია, მსოფლიოს მასშტაბით, წარმატებით იყენებს მოდელს საკუთარ საქმიანობაში. მოდელი შემუშავდა 25 წლის წინ თუმცა, უწყვეტი განვითრების მიზნით, სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან მიღებული გამოცდილებისა და პრაქტიკების გათვალისწინებით, მუდმივად იცვლება და უმჯობესდება.

> წარმატებული ორგანიზაციები აღწევენ და ინარჩუნებენ სამუშაოს შესრულების ისეთ მაღალ მაჩვენებლებს, რომლებიც შეესაბამება ან აღემატება ყველა დაინტერესებული მხარის მოლოდინს.
>
> **EFQM**

EFQM განვითარების მოდელი არა მხოლოდ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის, არამედ - მენეჯმენტის ხელსაწყოა. EFQM-ის განმარტებით, „წარმატებული ორგანიზაციები აღწევენ და ინარჩუნებენ სამუშაოს შესრულების ისეთ მაჩვენებლებს, რომლებიც შეესაბამება ან აღემატება ყველა დაინტერესებულ პირთა მოლოდინს“.

1.2. 1 EFQM განვითარების მოდელის დანერგვის პროცესი

EFQM განვითარებების მოდელის დანერგვისათვის ორგანიზაციის წარმომადგენელთათვის ტარდება **ტრენინგი**. ტრენინგის მონაწილეები ეცნობიან მოდელს. შემდგომ ეტაპზე ორგანიზაცია გეგმავს **თვითშეფასებას**. შედეგად, იკვეთება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. დანერგვის მესამე ეტაპზე - **განხორციელების** ეტაპი - გასაუმჯობესებელ მხარეებთან მიმართებით, ორგანიზაცია გეგმავს პროექტებს, რომელთაც



პირობითად გასაუმჯობესებელი პროექტები ეწოდება. პროექტების განხორციელებისათვის ორგანიზაციას ეძლევა 6-12 თვე. ფინალურ ეტაპზე ხდება პროექტების მოდელის მიხედვით ვალიდაცია/შეფასება. შეფასების შედეგად ორგანიზაცია მოიპოვებს პირველი დონის აღიარებას.

1.2. 2 ცენტრის თანამშრომელთა ტრენინგი და განვითარების გუნდის ფორმირება

2015 წლის 3-4 და 11-12 ივნისს, EFQM საერთაშორისო ექსპერტის, სუზან კალდშმიტის მიერ ცენტრის თანამშრომელთათვის ჩატარდა გაცნობითი ხასიათის ტრენინგი EFQM მოდელის შესახებ. შეიქმნა ცენტრის განვითარების გუნდი. 2015 წლის 10 ივლისს განვითარების

გუნდმა გამართა სამუშაო შეხვედრა, ხარისხის მართვის ევროპული ფონდის „წარმატების მოდელის“ (**EFQM Excellence Model**) დანერგვის მიზნით. შეხვედრაში მონაწილეობდა ცენტრის თანამშრომელთა უმეტესობა. შეხვედრაზე გუნდმა თანამშრომლებს გააცნო მოდელის მუშაობის ძირითადი პრინციპები და მოდელის დანერგვის ფარგლებში განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებები. მთელი წლის განმავლობაში, EFQM-ის ექსპერტთან, იმართებოდა შიდა სამუშაო შეხვედრები, სემინარები და კონსულტაციები.

1.2. 3 თვითშეფასება და პროექტების დაგეგმვა

18-19 ივნისს, ცენტრის მენეჯმენტისა და თანამშრომლების აქტიური ჩართულობითა და EFQM-ის ექსპერტის ფასილიტაციით, EFQM-ის კრიტერიუმების მიხედვით, განხორციელდა ცენტრის თვითშეფასება, გამოვლინდა ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. ანალიზისა და პრიორიტეტიზაციის საფუძველზე გამოიკვეთა საკითხები, რომლებზეც მომზადდა გაუმჯობესების პროექტები: ადამიანური რესურსების შეფასება, ცენტრის სტრატეგიის განახლება, ინსტიტუციური მეხსიერება, საგანმანათლებლო დაწესებულებების უკუკავშირი.

1.2. 4 პროექტების მომზადება და განხორციელება

თვითშეფასების შედეგებისა და დაგეგმილი პროექტების შესახებ ინფორმაცია მიეწოდა ცენტრის ყველა თანამშრომელს საინფორმაციო შეხვედრებისა და ელექტრონული ფოსტის საშუალებით. თითოეული პროექტის მიმართულებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფების აქტიური ჩართულობით მომზადდა პროექტების პირველადი ვერსიები და მათი განხორციელების პირველადი გეგმები. პროექტების განხორციელება 2015 წლის ბოლოს დაიწყო და 2016 წლის აპრილში დასრულდება.

1.2. 5 პროექტების ვალიდაცია EFQM-ის მიერ

2016 წლის აპრილში დაგეგმილია განხორციელებული პროექტების შეფასება. შეფასებას განახორციელებს EFQM-ის ლიცენზირებული ვალიდატორი. პროექტების დადებითად შეფასების შემთხვევაში ცენტრი მოიპოვებს პირველი დონის აღიარებას.

1.3 განათლების ხარისხის ელექტრონული მართვის პროექტი

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს „განათლების ხარისხისა და ელექტრონული მართვის პროექტს“. პროექტის მიზანია ცენტრისთვის ხარისხის მართვის სისტემის ინფრასტრუქტურის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ცენტრის ბიზნეს პროცესების ავტომატიზაციას. ელექტრონული ინფრასტრუქტურა შეიცავს ვირტუალურ სივრცეს თანამშრომლების, სტუდენტებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, ასევე მოქალაქეებისათვის. მონაცემები იქნება სრულყოფილი და სანდო. პროექტის პირველი ეტაპი 2014 წელს განხორციელდა, ხოლო მეორე ეტაპი 2015 წლის მეორე ნახევარში დაიწყო და 2016 წლის დასაწყისში დასრულდება.

ინოვაციური ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების მეშვეობით

ელექტრონული პლატფორმის დანერგვისა და მისი შემდგომი განვითარების შედეგად ცენტრის მიერ განხორციელებული ოპერაციების ხარისხი გაუმჯობესდება და უფრო ეფექტური და პროდუქტიული გახდება. 2015 წელს შემუშავდა ელექტრონული პლატფორმა. ვირტუალური პლატფორმის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით გადამზადდენ ცენტრის თანამშრომლები, რომლებმაც თავის მხრივ ნოემბერ-დეკემბერში ტრენინგები ჩაატარეს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭოს წევრების ექსპერტებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებისათვის.

1.4 ცენტრის სერვისების გაუმჯობესება

სერვისების გაუმჯობესების მიზნით განათლების ხარისხის განვითარების ცენტრი პერიოდულად ატარებს კვლევებს და კვლევის შედეგების გათვალისწინებით შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. 2015 წლის განმავლობაში განხორციელდა რამდენიმე კვლევა: მობილობის სერვისით მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა, რეესტრის წარმოების პროგრამის მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა და მისაღების მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა.

1.4.1 მობილობის სერვისით მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა

2015 წელს, გაწეული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, ცენტრის დაკვეთით, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციამ განახორციელა მობილობის სერვისით მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა. მობილობის სერვისთან დაკავშირებით, კვლევის შედეგად, მომხმარებელთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის მობილობის პროცესი ძალიან მარტივი ან მარტივია, რაც ხაზს უსვამს პროცედურული საკითხების მოქნილობასა და ადვილად ადმინისტრირებას მომხმარებლისათვის. გარდა ამისა, როგორც თვისებრივი ასევე რაოდენობრივი კვლევის შედეგებიდან დგინდება, რომ მობილობის პროცესის დროს მომხმარებლისათვის ხარვეზები თითქმის არ დაფიქსირებულა. რაც შეეხება კონსულტაციებს, მომხმარებელთა უმეტესობას არ დასჭირვებია რაიმე სახის დახმარება პროცესის გავლისას, ხოლო იმ პირთაგან ვინც მიმართა ცენტრს, მხოლოდ 1% თვლის, რომ ვერ მიიღო საჭირო ინფორმაცია. პროცესის დროს სხვადასხვა საკითხის შეფასებისას, მომხმარებელთა



უმეტესობის აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია ცხელი ხაზის არსებობა, ინფორმაციის მიღება ვებგვერდისა და SMS შეტყობინების საშუალებით. ასევე აღინიშნა ღია კარის დღეების საჭიროებაც, თუმცა, უმჯობესი იქნებოდა ამ ტიპის ღონისძიებები ცენტრის მაგივრად თავად საგანმანათლებლო დაწესებულებებში ტარდებოდეს.

რაც შეეხება ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვან საკითხებს, ასეთებად დასახელდა ინფორმაციის მიღება ბუკლეტით, სოციალური მედიითა და ვიდეო ინსტრუქციით.

ჯამში, გამოკითხულ რესპოდენტთა უდიდესი უმრავლესობა კმაყოფილია მობილობის სერვისით. მხოლოდ 1,4 % არის მომსახურებით უკმაყოფილო.

რესპონდენტებს ასევე შევაფასებინეთ საერთო კმაყოფილება მობილობის სერვისის მოხმარებისას, გამოკითხულთა 64,8 % კმაყოფილია აღნიშნული სერვისის სარგებლობით, 19% ძალიან კმაყოფილია და მხოლოდ 1,4% არის მომსახურებით უკმაყოფილო.

1.4.2 რეესტრის წარმოების პროგრამის მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა

რეესტრის წარმოების პროგრამის მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის ობიექტია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები. კვლევის შედეგად, შარშანდელთან შედარებით, რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებები არ გამოკვეთილა. გამოვლინდა, რომ რესპონდენტთა უმეტესობისათვის პროგრამის მოხმარება საკმაოდ მარტივია. მიუხედავად ამისა, აღინიშნა ისეთი ფუნქციების დამატების საჭიროება, როგორებიცაა: ფილტრი, ექსპორტი, თავსებადობა ვებ-ბროუზერებთან, სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამისა და ბაზებთან თავსებადობის საკითხი. ასევე აღინიშნა ტრენინგების ჩატარების საკითხი, თუმცა არა რაიმე დროის ინტერვალით, არამედ საჭიროების ან ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში. კვლევის შედეგების თანახმად, ყველაზე მარტივია სტუდენტების შესახებ ინფორმაციის მართვის მოდულები, ხოლო შედარებით მეტ სირთულეებს აწყდებიან პირები პროფესორ-მასწავლებლების შესახებ ინფორმაციის მართვის და მობილობის პროცესის მართვის მოდულებთან მუშაობისას. ასევე გამოვლინდა, რომ, როგორც წესი, პასუხისმგებელი პირი და



პროგრამაზე მომუშავე პირი ერთიდაიგივეა. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ცენტრი გეგმავს გაწეული მომსახურების გაუმჯობესებას, რისი შესწავლაც მომავალში გაგრძელდება.

1.4.3 მისაღების მომხმარებელთა კვლევა

2015 წელს, ცენტრის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა მისაღების მომხმარებელთა კმაყოფილების ყოველწლიური შესწავლა. აღსანიშნავია, რომ ცენტრში შემოსული დოკუმენტბრუნვა გაიზარდა 37%-ით ხოლო გასული - 30%-ით. რაც 2014 წელთან შედარებით მომხმარებელთა მნიშვნელოვან ზრდაზე მიუთითებს.

შესწავლის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:

უარყოფითი შეფასება

- ფიზიკური გარემო
- პირველი ვიზიტისას სიტუაციაში გარკვევა
- რიგში დგომა
- ვიზიტების რაოდენობა

დადებითი შეფასება

- ოპერატორის მომხმარებლისადმი დამოკიდებულება
- ოპერატორის კომპეტეტურობა
- რიგში დგომის შემდეგ, თავად მომსახურების სისწრაფე (3-5 წუთი)

შესწავლის შემდგომ მისაღების მომხმარებელთა ორიენტაციისათვის გამოიყო ცენტრის თანამშრომელი. იგეგმება ფიზიკური გარემოს გაუმჯობესება, რაც მოხსნის რიგში დგომის პრობლემასაც.

1.5 საკადრო პოლიტიკა

ცენტრი განაგრძობს საკადრო პოლიტიკის განვითარებასა და გაუმჯობესებას. ამ მიზნით 2015 წლის ბოლოს შესწავლილ იქნა თანამშრომელთა კმაყოფილება და ჩართულობა. შედეგები გათვალისწინებული იქნება ცენტრის 2016-2020 სტრატეგიულ გეგმის შემუშავებისას.

თანმიმდევრული ნაბიჯები გადაიდგა თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მიმართულებითაც.

1.5.1 თანამშრომელთა პროფესიული განვითარება

2015 წლის 9 - 20 ივნისს ცენტრის ადამიანური რესურსების სამმართველოს თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების საკითხებზე. ტრეინინგი ჩატარდა „ეიჩარ პროფესიონალთა გილდიის“ მიერ და ეფუძნებოდა თანამშრომელთა სამსახურებრივ საჭიროებებს. პრაქტიკული მაგალითების განხილვით

თანამშრომლებმა გაიღრმავეს ცოდნა საკადრო ხასიათის დოკუმენტაციის პროექტების მომზადების, ახალი თანამშრომლის კონკურსის წესით შერჩევისა და შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემის დანერგვის მიმართულებით.

2015 წლის 12 - 19 დეკემბერს ცენტრის საქმისწარმოებისა და მომსახურების განყოფილების თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი ეფექტური მომსახურებისა და კომუნიკაციის საკითხზე. ტრენინგი ჩაატარა „ეიჩარ პროფესიონალთა გილდიამ“.

პრაქტიკული ტრენინგები დაეხმარა თანამშრომლებს დაგეგმილი სამუშაოების უკეთ შესრულებაში.

1.5.2 თანამშრომელთა კმაყოფილებისა და ჩართულობის კვლევა

2015 წლის ნოემბერ-დეკემბერში ცენტრის ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ, ჩატარდა ცენტრის თანამშრომელთა სამუშაოთი კმაყოფილების კვლევა.

კვლევის შედეგად მოხდა:

- ✓ სამუშაო პირობებისადმი ცენტრის თანამშრომელთა დამოკიდებულებებისა და განწყობების იდენტიფიკაცია;
- ✓ სამუშაო გარემოს შეფასება;
- ✓ პრობლემების გამოვლენა და მათი გაუმჯობესების გზების დასახვა;
- ✓ თანამშრომელთა ჩართულობის დონის შეფასება;
- ✓ კარიერული ზრდისა და განვითარების შესაძლებლობების გამოვლენა;
- ✓ თანამშრომელთა მოტივაციის არსებული დონის და გაძლიერების შესაძლებლობების გამოვლენა.



კვლევის შედეგების საფუძველზე შემუშავდა სამოქმედო გეგმა. ანალოგიური კვლევის განხორციელება იგეგმება 2016 წელსაც.

1.6 საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს გადაეცა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) სპეციალური ჯილდო „2015 წელს საჯარო

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის“. IDFI-ის მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ ცენტრის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემა ხდება როგორც შინაარსობრივად სრულყოფილად, ასევე - კანონმდებლობით დადგენილი ვადების სრული დაცვით (ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 100%-იანი მაჩვენებელი).

1.7 ინფორმაციული უსაფრთხოება

საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 11 მარტის №157 ბრძანებულების შესაბამისად, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი შესულია „კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების ნუსხაში“ და, შესაბამისად, ახორციელებს ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის შემუშავების ღონისძიებებს.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 24 დეკემბრის №1033 ბრძანებით, დამტკიცდა ცენტრის ახალი ინფორმაციული უსაფრთხოების საბჭო და ინფორმაციული უსაფრთხოების საბჭოს საკომუნიკაციო დოკუმენტი.

შემუშავდა და სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს შესათანხმებლად გაეგზავნა ცენტრის ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკისა და ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის გავრცელების სფეროს დოკუმენტების პროექტები, რომლებიც ინფორმაციული უსაფრთხოების საბჭოს მიერ დამტკიცდება 2016 წელს.

2. განათლების ხარისხის უზრუნველყოფა და განვითარება

განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ხორციელდება საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესები. ორივე პროცესი წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმს და ვრცელდება განათლების სამივე დონეზე: ზოგადზე, პროფესიულსა და უმაღლესზე.

2.1 საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცია

2015 წლის მდგომარეობით საქართველოში 75 უმაღლესი, 92 პროფესიული და 2332 (მათ შორის 247 კერძო) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა (იხილეთ დანართი 2).

2.1.1 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებები

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ მიიღო 65 გადაწყვეტილება, მათ შორის, ავტორიზაცია მიენიჭა 26 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, უარი ეთქვა 2 დაწესებულებას, ავტორიზაცია გაუუქმდა 6 დაწესებულებას, კონტინგენტი გაეზარდა 6 დაწესებულებას, 2 დაწესებულებას უარი ეთქვა კონტიგენტის გაზრდაზე, წარმოება შეწყდა 21 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით და ცვლილება შეტანილ იქნა 2 გადაწყვეტილებაში (იხილეთ დიაგრამა 1).

2.1.2 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებები

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ მიიღო 45 გადაწყვეტილება, მათ შორის: ავტორიზაცია მიენიჭა 5 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, უარი ეთქვა 3 დაწესებულებას, წარმოება შეწყდა 3 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით, პროგრამების დამატებასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა 26 გადაწყვეტილება, პროგრამის დამატებაზე უარი ეთქვა 7 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, ძალადაკარგულად გამოცხადდა 1 გადაწყვეტილება (იხილეთ დიაგრამა 1).

2.1.3 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებები

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ მიიღო: 43 გადაწყვეტილება, მათ შორის: ავტორიზაცია მიენიჭა 11 უმაღლეს საგანმანათლებლო

დაწესებულებას, უარი ეთქვა 3 დაწესებულებას, ავტორიზაცია გაუუქმდა 1 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, კონტინგენტი გაეზარდა 5 დაწესებულებას, პროგრამების დამატებასთან დაკაშირებით მიღებულ იქნა 16 გადაწყვეტილება, პროგრამის დამატებაზე უარი ეთქვა 1 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, წარმოება შეწყდა 3 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით, ძალადაკარგულად გამოცხადდა 1 გადაწყვეტილება, ცვლილება შევიდა 2 გადაწყვეტილებაში (იხილეთ დიაგრამა 1).



	ავტორიზაციის მინიჭება	ავტორიზაციაზე უარი	ავტორიზაციის გაუქმება
ზოგადსაგანმანათლებლო	26	2	6
პროფესიული	4	2	2
უმაღლესი	10	3	1

დიაგრამა 1. ავტორიზაციის საბჭოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ მიიღო 139 გადაწყვეტილება, მათ შორის: აკრედიტაცია მიენიჭა 128 საგანმანათლებლო პროგრამას, აკრედიტაციაზე უარი ეთქვა 7 საგანმანათლებლო პროგრამას, წარმოება შეწყდა 4 საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებით (იხილეთ დიაგრამა 2).



2015 წელს ყველაზე მეტი სააკრედიტაციო განაცხადი მაგისტრატურისა და ბაკალავრიატის პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებით შემოვიდა (იხილეთ დიაგრამა 3).



2.3 ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ეთიკის კოდექსი

შემუშავდა და დამტკიცდა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ეთიკის კოდექსი ექსპერტების პროფესიული ღირსების შესაბამისი ქცევის ერთიანი წესების დამკვიდრებისა და საკუთარი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერების ხელშეწყობის მიზნით. ეთიკის კოდექსის გაზიარებით თითოეული ექსპერტი იღებს პასუხისმგებლობას, განამტკიცოს საზოგადოების ნდობა განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემისადმი.

ეთიკის კოდექსი ეფუძნება ნორმებს, რომლებიც საზოგადოების ღირებულებათა სისტემის უმაღლესი გამოხატულებაა.

2.4 ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საერთაშორისო ექსპერტთა მუდმივად განახლებადი ბაზა

2015 წელს ცენტრმა თანმიმდევრული ნაბიჯები გადადგა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ინტერნაციონალიზაციისა და აღნიშნულ პროცესებში უცხოელი ექსპერტების ჩართვის უზრუნველსაყოფად. შეიქმნა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საერთაშორისო ექსპერტთა მუდმივად განახლებადი ბაზა.

ექსპერტთა ბაზის ფორმირების მიზნით გაიგზავნა 2000 წერილი საერთაშორისო ორგანიზაციებში, ევროპის სააკრედიტაციო სააგენტოებში, უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებებსა და ინვიდიდუალურ ექსპერტებთან. ცენტრმა მოიპოვა წვდომა Elsevier-ის ექსპერტთა მოძიების სისტემაზე. 2015 წელს მოხდა საერთაშორისო ექსპერტების რაოდენობის გაორმაგება. 31 დეკემბრის მდგომარეობით ცენტრის ექსპერტთა ბაზაში ირიცხება, სხვადასხვა მიმართულების, 110 მაღალკვალიფიციური საერთაშორისო ექსპერტი.

2.5 ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესი

შემუშავდა და დამტკიცდა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესი, რომლის მიზანია:

- საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დახვეწა და ექსპერტთა საქმიანობის გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე შეფასების პროცესის გაუმჯობესება სათანადო კვალიფიკაციის მქონე ექსპერტთა კორპუსის წევრების შერჩევისთვის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და პროცედურის ჩამოყალიბებით;
- ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და განვითარებაზე ორიენტირებული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარების ხელშეწყობა;
- ექსპერტთა ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დაცვის ხელშეწყობა.

2.6 უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოები

შემუშავდა და დამტკიცდა უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესი, რომლის მიზანია, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესების დახვეწისა და მათში ჩართულ პირთა საქმიანობის ხელშეწყობა, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე

შეფასების პროცესის მიმართ დაინტერესებულ მხარეთა ნდობის ამაღლება, მოქმედი კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის დამატების, ან არსებულის შეცვლის ან ამოღების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობა, ასევე, „ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების“ შესაბამისად, ობიექტური, განვითარებაზე ორიენტირებული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ჩამოყალიბება და მუდმივი სრულყოფის ხელშეწყობა.

2.7 უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარება

ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით ცენტრმა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გამოითხოვა ინფორმაცია - აკადემიურ პერსონალის, კვალიფიკაციის მინიჭების წესის, სტუდენტის სტატუსის მარეგულირებელი წესის, სტუდენტის შეფასების სისტემისა და სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ. ინფორმაცია დამუშავდა, გაანალიზდა და შედეგები განვიხილულ იქნა 2015 წლის 27-29 ნოემბერს, ქალაქ ქობულეთში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით

გამართულ კონფერენციზე. კონფერენციის მთავარი თემა იყო ,,საქართველოს უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების სისტემა - გამოწვევები და პერსპექტივები." კონფერენციის მიზანი იყო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით განათლების ხარისხის შიდა და გარე მექანიზმებისა და პროცედურების ანალიზის განხორციელება და მათი შემდგომი სრულყოფისათვის წინადადებების შემუშავება; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების ხარისხის კულტურის განვითარებისა და საგანმანათლებლო

დაწესებულებების ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა; განახლებული მიდგომების შემუშავებით სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და აკადემიური პერსონალის თავისუფალი გადაადგილების ხელშეწყობა სწავლის, სწავლების, კვლევისა და დასაქმების მიზნით. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი სსიპ-ების, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოების, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, არასამთავრობო სექტორისა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებმა (150 მონაწილემდე).

კონფერენციის შედეგების საფუძველზე მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი. ცვლილებების ძირითად მიზანს წარმოადგენდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების სტრუქტურის შინაარსობრივი ანალიზი და ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცედურების გადახედვა, რაც განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის მიზანს ემსახურება. კონფერენციის ფარგლებში გამოთქმული მოსაზრებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ცენტრმა მოამზადა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარუდგინა შესაბამისი ცვლილებები, რომლებიც, ძირითადად, ეხება შემდეგ საკითხებს:

- ავტორიზაციის დღეს მოქმედი სამი სტანდარტისგან განსხვავებით, წარდგენილი პროექტით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანალებლო დაწესებულებების ახალი სტანდარტები დეტალურ მოთხოვნებს დაუწესებენ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისიას, სტრატეგიულ ხედვასა და მის განვითარებას; დაწესებულების ორგანიზაციულ სტრუქტურასა და მართვას; სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლა-სწავლების პროცესის სრულფასოვან უზრუნველყოფასა და მხარდაჭერას; კვლევის, განვითარებისა და შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობას. ავტორიზაციის განახლებული სტანდარტები

ორიენტირებული იქნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების, საგანმანათლებლო პროგრამისა და დაწესებულების მიერ მიღწეული შედეგების შეფასებაზე, რაც განათლების ხარისხის რეალური სურათის შეფასების საშუალებას უზრუნველყოფს.

- ავტორიზაციის საბჭოების უფლებამოსილებასთან ერთად საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით განისაზღვრება საბჭოების საქმიანობის წესი, რაც ხელს შეუწყობს ავტორიზაციის პროცესის გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის გაზრდას.

- დღეს არსებული რეგულაციით, ავტორიზაციის/აკრედიტაციის შესახებ ან ავტორიზაციაზე/აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება 90 დღის განმავლობაში. წარდგენილი პროექტის თანახმად, გადაწყვეტილებების მიღება მოხდება დაწესებულების სტატუსის მაძიებლად ცნობიდან ან აკრედიტაციის საფასურის გადახდიდან 180 კალენდარული დღის განმავლობაში. ცვლილების მიზანია, თითოეული ადმინისტრაციული წარმოებისას სრულყოფილად იქნეს გამოკვლეული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება იქნეს მიღებული მხოლოდ ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

- წარდგენილი კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებების შესაბამისად, ავტორიზაციის ვადად 5 წლის ნაცვლად, განისაზღვრა 6 წელი. ეს ვადა მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო დაწესებულების/საგანმანათლებლო პროგრამის მიერ მიღწეული შედეგებისა და კურსდამდავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის შეფასების თვალსაზრისით. აღნიშნული ვადა ექსპერტებს შესაძლებლობას მისცემს შეაფასონ დაწესებულების სტრატეგიული (6 წლიანი) გეგმის შესრულების ხარისხი და ამ დროის განმავლობაში გაზომონ საგანმანათლებლო დაწესებულების/პროგრამის განვითარების მაჩვენებელი. ამასთან, აღნიშნული პერიოდის განმავლობაში განხორციელდება საგანმანათლებლო დაწესებულებებისა გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგი და მოხდება მათი ხარისხის მუდმივი კონტროლისა და ხელშეწყობის მექანიზმების ამოქმედება.

- კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილების შესაბამისად, ავტორიზაციის გაუქმების წარმოების დროს დაწესებულებებს ნაცვლად მაქსიმუმ 15 დღიანი ვადისა, ხარვეზის გამოსასწორებლად შესაძლებელია დაუწესდეს მაქსიმუმ 60 დღიანი ვადა. საგულისხმოა, რომ, ხშირ შემთხვევაში, 15 დღიანი ვადის განსაზღვრა არ წარმოადგენდა ამ წარმოებაში ეფექტიან და ქმედით მექანიზმს. ცვლილება განპირობებულია დაწესებულებების ხელშეწყობისა და ხარვეზების გამოსწორებაში რეალური დაინტერესების მოტივით.

- წარდგენილი ცვლილებების პროექტით, ასევე, გათვალისწინებულია საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილების სახეებში „პირობითი აკრედიტაციის შესახებ“ გადაწყვეტილების დამატება. აღნიშნული ცვლილების განხორციელება მიზანშეწონილია განვითარებაზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დანერგვის თვალსაზრისით, ვინაიდან ის გამორიცხავს ხისტი გადაწყვეტილებების მიღებას და მოქმედ საგანმანათლებლო დაწესებულებას საშუალებას მისცემს წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად გამოასწოროს/გაითვალისწინოს გამოვლენილი ხარვეზები/რეკომენდაციები.

- პროექტით გათვალისწინებულ კიდევ ერთ მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის გადაწყვეტილებების გასაჩივრების დამატებითი მექანიზმის - სააპელაციო საბჭოს ინსტიტუტის შემოღება, რაც გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხარვეზების შემცირებასა და საბჭოების მუშაობის თანმიმდევრულობას უზრუნველყოფს. სააპელაციო საბჭოზე საკითხის განხილვისას, განსაკუთრებული ყურადღება იქნება გამახვილებული როგორც შინაარსობრივ, ასევე ფორმალურ საკითხებზე, განსხვავებით სასამართლოსგან, რომელიც ძირითადად განიხილავს, რამდენად იყო გადაწყვეტილების მიღების დროს დაცული ფორმალურ კანონიერებასთან დაკავშირებული მოთხოვნები. მოცემული რეგულაცია გაზრდის საბჭოების მიერ დასაბუთებულობის, ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის ხარისხს.

- კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილების თანახმად, აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებსაც აკრედიტაცია მიენიჭა 2011-2012 წლებში ჩაითვლება აკრედიტებულად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელახალი ავტორიზაციიდან 1 წლის ვადით. ამ ცვლილების მიზანია ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების ლოგიკური კავშირის მიღწევა და საგანმანათლებლო პროგრამების ხელახალი აკრედიტაცია განახლებული აკრედიტაციისა და უმაღლესი განათლების დარგობრივი სტანდარტებით. დამატებით, მიზანშეწონილია საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პროცედურის გავლა განხორციელდეს საგანამანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესის გავლამდე. ცვლილების მიზანია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების განახლებული აკრედიტაციის სტანდარტით შემოწმება განხორციელდეს მას შემდეგ, რაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ავტორიზაციას გაივლის ავტორიზაციის განახლებული სტანდარტებით.

2.8 პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარება

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება ხაზს უსვამს ევროპული გამოცდილების სრულად გათვალისწინების საჭიროებას პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი კოორდინაციას უწევს ეროვნული პროფესიული საბჭოს ხარისხის მართვის თემატურ სამუშაო ჯგუფს. მიმდინარეობს მუშაობა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს დახვეწაზე, სრულყოფასა და ევროპულ სტანდარტებთან (EQAVET) შესაბამისობის უზრუნველყოფაზე. 2015 წელს ხარისხის მართვის თემატურმა სამუშაო ჯგუფმა MCA-G პროექტის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისათვის" მხარდაჭერით მოამზადა რეკომენდაციები ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს დახვეწასა და შევსებასთან დაკავშირებით.

2.9 ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარება

2015 წელს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები განპირობებული იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის მართვის სისტემის გაუმჯობესების აუცილებლობით. ცვლილების მიზანი იყო საჯარო სკოლების ხარისხის მართვის სისტემის დანერგვა და მისი გაუმჯობესების ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან. საჯარო სკოლებს მიეცათ საკმარისი ვადა, რათა განახორციელონ საჭირო ქმედებები ხარისხის გასაუმჯობესებლად და ავტორიზაციის სტანდარტების დასაკმაყოფილებლად. განხორცილებული ცვლილების თანახმად, 2014 წლის 1 იანვრამდე დაფუძნებული/რეორგანიზებული საჯარო სკოლები ჩაითვალნენ ავტორიზებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებად 2020-2021 სასწავლო წლამდე. ამდენად, საჯარო სკოლები 2020-2021 სასწავლო წლის დაწყებამდე ვალდებული იქნებიან გაიარონ ავტორიზაცია, რათა დაადასტურონ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, მოიპოვონ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და შეძლონ ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების №1034 საფუძველზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, როემლსაც დაევალა საჯარო სამართლის იურიდიული პირების - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმის შემუშავება და განხორციელების უზრუნველყოფა. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, ქალბატონი თამარ ზაალიშვილი.

2015 წელს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კოორდინირებითა და სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობით გაიმართა სამუშაო შეხვედრები სამოქმედო

გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით. სამუშაო ჯგუფის შეხვედრები 2016 წელსაც გაგრძელდება.

3. კვალიფიკაციების განვითარება

3.1 ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო და 2015 წელს მასში განხორციელებული ცვლილებები

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო აღწერს საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის არსებულ კვალიფიკაციებს და ცხადყოფს მათ ურთიერთკავშირს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, ასევე მოიცავს ქვეყანაში არსებული მისანიჭებელი კვალიფიკაციების ჩამონათვალს. ჩარჩოს დანიშნულებაა, ასახოს კვალიფიკაციები, რომელთა საუძველზეც გაიცემა დიპლომები და მათში მიეთითება კვალიფიკაციები. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს პრინციპზეა აგებული. ცენტრის მანდატია ჩარჩოში დაამატოს, ამოიღოს ან, საჭიროების შემთხვევაში შეცვალოს კვალიფიკაცია. 2015 წლის განმავლობაში კვალიფიკაციათა ნუსხას დაემატა 2 დარგი/სპეციალობა, 6 ქვედარგი/სპეციალიზაცია, 41 პროფესიული სპეციალიზაცია.

2015 წელს ნუსხიდან ამოიღეს 2 პროფესიული სპეციალიზაცია და ასევე განხორციელდა 1 ქვედარგის/სპეციალიზაციისა და 5 პროფესიული სპეციალიზაციის რედაქტირება (იხილეთ დანართი 3).

3.2 ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს განვითარება

ცენტრი ახორციელებს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს განვითარებისა და ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს ევროპულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისი ერთიანი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს პროექტის შემუშავებას უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოს გათვალისწინებით. შედეგად განახლდება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში შედეგზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და ხარისხის უზრუნველყოფას ქვეყანაში, ასევე საქართველოში არსებული კვალიფიკაციების გამჭვირვალობასა და აღიარებას ქვეყნის გარეთ. პროექტის პირველი ეტაპი 2014 წელს განხორციელდა, ხოლო მეორე ეტაპი 2015 წელს დაიწყო და გრძელდება.

2015 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ახალი, „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ კვალიფიკაციების ჩარჩოს პროექტის შემუშავებასა და დახვეწაზე მუშაობა. გაიმართა ფართო მასშტაბიანი განხილვები. პირველი განხილვა განხორციელდა 23 მარტს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ რექტორთა საბჭოს გაფართოებულ სხდომზე. მეორე განხილვა მოეწყო განათლების ხარისხის განვითარების

ეროვნულ ცენტრში დაინტერესებული პირების მონაწილეობით. მესამე განხილვა მოხდა 27 - 29 ნოემბერს ქალაქ ქობულეთში გამართულ კონფერენციაზე - „საქართველოს უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების სისტემა - გამოწვევები და პერსპექტივები“.

2015 წლის 28 დეკემბერს, პროექტი განიხილეს პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს სხდომაზე, რომელიც გაიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით. საბჭომ მოიწონა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს პროექტი. საბჭოს სხდომას პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს წევრები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სააგენტოების წარმომადგენლები, დონორი ორგანიზაციები და ადგილობრივი ექსპერტები ესწრებოდნენ.

„მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ კვალიფიკაციების ჩარჩოს პროექტის დამტკიცების მიზნით სამუშაო ჯგუფი აგრძელებს მუშაობას საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის მომზადებაზე.

3.3 განათლების მიმართულებების (სფეროების) ჩამონათვალი (კლსაიფიკატორი)

2015 წელს განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორზე ISEC–2013–F დაყრდნობით შემუშავდა უმაღლესი განათლების მიმართულებების ჩამონათვალი, რომელიც მოიცავს ფართო, ვიწრო და დეტალურ მიმართულებებს. აღნიშნულ მიმართულებებში (სფეროებში) განხორციელდა საქართველოს უმაღლესი განათლების საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასიფიცირება. განათლების მიმართულებების (სფეროების) ჩამონათვალის (კლსაიფიკატორი) დამტკიცების მიზნით შემუშავდა საკანონდებლო ცვილებების პროექტი.

მუშაობა მიმდინარეობს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების კლასიფიცირების დოკუმენტზე, რომლის მიზანია ფართო, ვიწრო და დეტალურ მიმართულებებში (კლასიფიკატორში) განთავსდეს ქვეყანაში არსებული პროფესიული სპეციალიზაციები.

მომზადდა პროფესიული დიპლომის/სერთიფიკატის დანართისა და შესაბამისი ბრძანების პროექტები.

3.4 არაფორმალური განათლების აღიარება

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი კოორდინაციას უწევს ეროვნული პროფესიული საბჭოს არაფორმალური განათლების აღიარების თემატურ სამუშაო ჯგუფს. 2015 წელს არაფორმალური განათლების აღიარების თემატურმა სამუშაო ჯგუფმა MCA-G პროექტის "პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისათვის" მხარდაჭერით გააახლა ევროპის განათლების ფონდის (ETF) მხარდაჭერით 2014 წელს შემუშავებული არაფორმალური განათლების აღიარების კონცეფცია და სამოქმედო გეგმა. კონცეფციაში ასახულია არსებული სიტუაციის ანალიზი და ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები, რომლის

მიზანია საქართველოში არაფორმალური განათლების აღიარების სისტემის დანერგვისათვის მომზადება.

არაფორმალური განათლების აღიარების პილოტირების განხორციელების მიზნითდადგინდა ოთხი პროფესიული სპეციალიზაცია, დაინტერესებულმა პირებმა გამოითქვეს სურვილი უღიარდეთ არაფორმალური გზით შეძენილი კომპეტენციები. არაფორმალური განათლების აღიარების პილოტირება განხორციელდება 2016 წელს.

კონცეფციაზე დაყრდობით შემუშავდა არაფორმალური განათლების აღიარების წესის პროექტი, რომელიც დამტკიცდება არაფორმალური განათლების აღიარების პილოტირების დასრულების შემდეგ.

4. საქართველოში და საზღვარგარეთ მიღებული განათლების დადასტურება (აღიარება, ნამდვილობა, აპოსტილი და ლეგალიზაცია)

4.1 განათლების აღიარება

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ახორციელებს უცხოეთში მიღებული განათლების საქართველოს ტერიტორიაზე აღიარებას, ადასტურებს დევნილების ან ლიკვიდირებულ/საგანმანათლებლო საქმიანობაშეწყვეტილ დაწესებულებაში განათლებამიღებული პირების განათლების მიღების ფაქტს. ცენტრი ახორციელებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარებასაც.

2015 წლის განმავლობაში ცენტრში შემოვიდა **5598** განცხადება უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მოთხოვნით, **420** განცხადება უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნით, **388** განცხადება ლიკვიდირებულ და საგანმანათლებლო საქმიანობაშეწყვეტილ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარების მიზნით ან დევნილების მიერ მიღებული განათლების აღიარების თაობაზე, **28** განცხადება ლიცენზირებულ რეჟიმში მიღებული განათლების აღიარების თაობაზე.

ცენტრში შემოსული განცხადებების საფუძველზე ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად მომზადდა: **7230** უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი (მათ შორის - **230** უარი); 424 ბრძანება განათლების მიღების ფაქტის დადასტურების თაობაზე; **34** ბრძანება ლიცენზირებულ რეჟიმში მიღებული განათლების აღიარებაზე; **440** ცნობა უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის შესახებ.

4.2 საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურება

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ახორციელებს საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებას, კერძოდ, ცენტრი ადგენს პირის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სრულად ან ნაწილობრივ გავლის, აგრეთვე მისთვის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე სათანადო დოკუმენტის გაცემის ფაქტებსა და მათ შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან.

2015 წელს საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების თაობაზე ცენტრში **3072** განცხადებით წარმოდგენილ იქნა **3462** დოკუმენტი, **2623** დოკუმენტთან დაკავშირებით დასრულდა ადმინისტრაციული წარმოება (**1018** დადებითი დასკვნა, **1488** უარყოფითი დასკვნა, **279** ხარვეზის წერილი, **196** წერილი გარემოებათა უცვლელობის თაობაზე). ასევე, მომზადდა **3235** შუალედური კორესპონდენცია (დოკუმენტაციის მოთხოვნის წერილი).

4.3 საგანმანათლებლო დოკუმენტის ლეგალიზაცია და აპოსტილით დამოწმება

ცენტრი ახორციელებს საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებას ლეგალიზაციისა და და აპოსტილით დამოწმების გზით. საგანმანათლებლო დოკუმენტის ლეგალიზაციისა და აპოსტილით დამოწმების მიზანია საქარველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის სხვა ქვეყანაში გამოყენება. საქართველოში გაცემული ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაციასა და აპოსტილით დამოწმებასთან დაკავშირებით 2015 წელს განხილულ იქნა **3373** განცხადება (სულ **5139** დოკუმენტი, აქედან **4395** დოკუმენტი აპოსტილით დამოწმებაზე, ხოლო **744** დოკუმენტი - ლეგალიზაციაზე). აპოსტილით დამოწმდა **2778** დოკუმენტი, განხორციელდა **382** დოკუმენტის ლეგალიზება.



ცენტრის მიერ საქართველოსა და საზღვარგარეთ მიღებული განათლების დადასტურება ხელს უწყობს ქართველი და უცხოელი სტუდენტების საერთაშორისო მობილობის პროცესს, განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაციასა და მულტიკულტურული ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების პროგრამის ფარგლებში 2015 წლის განმავლობაში სწავლის უფლება მიენიჭა საქართველოს და უცხო ქვეყნის 3360 მოქალაქეს.

2015 წელს სტუდენტებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტერესების გათვალისწინებით, ცვლილებები განხორციელდა „უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების – დიპლომისა და პროფესიული დიპლომის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №126/ნ ბრძანებაში.

ცენტრში, ამჟამად, მიმდინარეობს მუშაობა ცვლილებებზე „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ ბრძანებაში, რომლის მიზანია, ცენტრის გამართულ ფუნქციონირებისა და საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების/განათლების აღიარების პროცესების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა, რითაც, თავისმხრივ, გაიზრდება განმცხადებელთა კმაყოფილების დონე.

4.4 სასწავლო ვიზიტი პორტუგალიაში შრომით მიგრაციასა და სტუდენტთა მობილობის საკითხებთან დაკავშირებით

2015 წლის 12-15 ოქტომბერს პორტუგალიის ქალაქებში - ლისაბონსა და პორტოში - ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, პრაღის პროცესისა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის ორგანიზებულ სასწავლო ვიზიტში მონაწილეობდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი. შეხვედრების თემა ლეგალური მიგრაცია იყო და მოიცავდა

შრომითი მიგრაციისა და სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის საკითხებს. სასწავლო ვიზიტისას მონაწილე მხარეებს ჰქონდათ შესაძლებლობა, გაცნობოდნენ საზღვარგარეთ მიღებული განათლების პორტუგალიაში აღიარებისათვის საჭირო პროცედურებსა და გამოცდილებას. ლისაბონის ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა არსებული პროგრამებისა და სტუდენტთა ინტერნაციონალიზაციის თაობაზე პრეზენტაციები გააკეთეს.

პრაღის პროცესის მე-6 საპილოტე პროექტის მიზანია სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობის შესახებ სახელმძღვანელოს შემუშავება. აღნიშნული სახელმძღვანელოს სამუშაო ვერსია 2016 წლის დასაწყისში გაეგზავნებათ მონაწილე ქვეყნებს, ხოლო 2016 წლის თებერვალში დაგეგმილ შეხვედრაზე დოკუმენტი სრულყოფილი სახით იქნება წარმოდგენილი.

4.5 ENIC-NARIC-ის ყოველწლიური შეხვედრა ავსტრიაში

2015 წლის 7-9 ივნისს ავსტრიის ქალაქ ბრეგენცში გაიმართა „ევროპული საინფორმაციო ცენტრებისა და ეროვნული აკადემიური აღიარების საინფორმაციო ქსელის“ (ENIC-NARIC Network) წარმომადგენელთა 22-ე ყოველწლიური შეხვედრა. შეხვედრას ესწრებოდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის განათლების დადასტურების სამსახურის წარმომადგენელი. „ევროპული საინფორმაციო ცენტრებისა და ეროვნული აკადემიური აღიარების საინფორმაციო ქსელის“ წარმომადგენლების 22-ე ყოველწლიურ შეხვედრაზე განიხილეს უმაღლესი განათლების ფარგლებში ელექტრონული საშუალებებით მიღებული ან არაფორმალური განათლების აღიარების მიზანშეწონილობა, მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი განათლების სისტემის შესახებ, აგრეთვე გაანალიზეს კვალიფიკაციათა ჩარჩოს, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და განათლების აღიარების ურთიერთკავშირი.

„ევროპული საინფორმაციო ცენტრებისა და ეროვნული აკადემიური აღიარების საინფორმაციო ქსელის“ მიზანია უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების ხელშეწყობა. ის ხელს უწყობს წევრ ქვეყნებს შორის ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლას, „საუკეთესო პრაქტიკის“ იდენტიფიცირებასა და აღიარების პოლიტიკის ანალიზს. „ევროპული საინფორმაციო ცენტრებისა და ეროვნული აკადემიური აღიარების

საინფორმაციო ქსელის“ წევრია ის 55 ქვეყანა, რომელთაც „ევროპის რეგიონში უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციების ცნობის კონვენცია“ (ლისაბონის კონვენცია) აქვთ რატიფიცირებული ან ხელმოწერილი.

5. სტუდენტთა მობილობა

ცენტრმა 2015 წელს ორჯერ - გაზაფხულისა და შემოდგომის სემესტრებში განახორციელა მობილობის პროცესის ადმინისტრირება. მობილობის პორტალის მომსახურებით ისარგებლა 7 555 სტუდენტმა, აქედან მობილობის უფლება მოიპოვა 6 251 სტუდენტმა.



სტუდენტთა მობილობის პროცესის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით 2015 წლის განმავლობაში ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფის დამხარებით განხორციელდა ცვლილებები სტუდენტთა მობილობის აპლიკაციაში, კერძოდ ელექტრონულ პორტალზე სარეგისტრაციო განაცხადში გაჩნდა დამატებითი ველები, ასევე დაინერგა პაროლის აღდგენის ავტომატური სისტემა.

6. საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოება

საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრი წარმოადგენს ქვეყანაში არსებული ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ ინფორმაციის შემცველ მონაცემთა ბაზას, მასში აგრეთვე დაცულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლების, აკადემიური პროგრამების შესახებ ინფორმაცია. საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრს აწარმოებს როგორც ცენტრი, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებები. მონაცემები გამოიყენება მობილობის, გრანტების აღრიცხვისა და მათი განაწილების, სტუდენტთა დაზღვევისა და აგრეთვე სხვა პროგრამების განსახორციელებლად.

საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში დაცული მონაცემების სანდოობის ხარისხის გაზრდის მიზნით, ცენტრი რეგულარულად ახორციელებს სამუშაო შეხვედრებსა და ტრენინგებს საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან. 2015 წლის განმავლობაში გამართულ სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო ყველა ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 100-ზე მეტმა წარმომადგენელმა. ასევე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ჩატარდა ტრენინგების ციკლი თემაზე „რეესტრის წარმოების წესი“. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 72 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 127 წარმომადგენელმა.

საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში არსებული მონაცემების სრულყოფისა და სიზუსტის მიზნით 2015 წლის განმავლობაში განხორციელდა საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში დაცული სხვადასხვა მონაცემის მონიტორინგი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში პროფესიულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე რიცხული 2000-ზე მეტი სტუდენტის სტატუსთან, 3230 საგანმანათლებლო პროგრამის და პროგრამის განმახორციელებელ 10447 პერსონალთან მიმართებაში ჩატარებულმა მონიტორინგმა უზრუნველყო დაცული ინფორმაციის სანდოობის გაზრდა.

7. ინტერნაციონალიზაცია

7.1 განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის წევრი გახდა

2015 წლის 23 ოქტომბერს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის აფილირებული წევრის სტატუსი მოიპოვა.

ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაცია არის ერთ-ერთი ყველაზე ფართომასშტაბიანი ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს ევროპის უნივერსიტეტებსა და განათლების სფეროში არსებულ ორგანიზაციებს. ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციას 850-მდე წევრი ჰყავს 47 ქვეყანაში. ორგანიზაცია დაფუძნებულია ბრიუსელში და უზრუნველყოფს ევროპის უმაღლესი განათლების პოლიტიკისა და პრაქტიკის შესწავლას ხარისხის უზრუნველყოფის, ინტერნაციონალიზაციის, მმართველობისა და დაფინანსების კუთხით, ასევე, ახორციელებს ტრანსნაციონალური და ინსტიტუციური განვითარების პროექტებს.

ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაცია საშუალებას აძლევს წევრ ორგანიზაციებს მონაწილეობა მიიღონ ერთიან ევროპულ პროექტებში და დაინტერესებულ მხარეებს გაუზიარონ გამოცდილება საუკეთესო პრაქტიკის შესახებ. ასოციაცია მჭიდროდ თანამშრომლობს ევროკომისიასა და ევროპარლამენტთან.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, როგორც ქვეყანაში არსებული ერთადერთი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ორგანოს წევრობა აღნიშნულ ორგანიზაციაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამ პლატფორმის გამოყენება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს საშუალებას მისცემს, მიიღოს უახლესი ინფორმაცია ევროპაში გავრცელებული საუკეთესო პრაქტიკის შესახებ, ეროვნულ დონეზე უზრუნველყოს უმაღლესი განათლების პოლიტიკისა და პრაქტიკის საუკეთესო გამოცდილების შესახებ ინფორმაციის გავრცელება.

ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციაში წევრობის უპირატესობები მოიცავს:

- უნივერსიტეტთა სახელით ევროპულ, ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე ევროპული პოლიტიკის ფარგლებში გადაწყვეტილებების მიღებაზე ზეგავლენას;
- კავშირების დამყარებას მნიშვნელოვან ევროპულ დაინტერესებულ მხარეებთან;
- ევროპულ უნივერსიტეტთა ინტერესების წარმოჩენას საერთაშორისო დონეზე და გლობალურ ღონისძიებებში;
- წევრი ორგანიზაციების ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობას.

7.2 უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ ასოციაციასთან თანამშრომლობა (ENQA)

ცენტრი განაგრძობს თანამშრომლობას უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ ასოციაციასთან (ENQA). 2013 წლიდან ცენტრს მინიჭებული აქვს ENQA-ს აფილირებული ორგანიზაციის სტატუსი. 2016 წლისათვის ცენტრი გეგმავს ორგანიზაციის სრული წევრობის მოპოვების მიზნით წინასწარი შეფასების განხორციელებას.

ENQA-სთან თანამშრომლობა ხელს უწყობს საქართველოს განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებასა და თავსებადობას, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების დახვეწას, საქართველოს განათლების სისტემის მიმართ ნდობის ამაღლებას საერთაშორისო დონეზე.

7.3 ბოლონიის პროცესის განხორციელების ჯგუფში (BFUG) მონაწილეობა

2016 წლისათვის საქართველო არჩეულ იქნა ბოლონიის პროცესის მეორე სამუშაო ჯგუფის „ძირითადი შეთანხმებული ვალდებულებების განხორციელების ხელშეწყობის“ თანათავმჯდომარე ქვეყანად სამ თანათავმჯდომარე ქვეყანასთან ერთად (ავსტრია, ბელგია და პოლონეთი).

სამუშაო ჯგუფი შეაფასებს და ხელს შეუწყობს ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ბოლონიის პროცესით გათვალისწინებული პოლიტიკის განხორციელებას - განათლების ინტერნაციონალიზაციას, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობას, განათლების აღიარებას, ხარისხის უზრუნველყოფას,

კვალიფიკაციების ჩარჩოს, სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში პრინციპს, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას.

სამუშაო ჯგუფში საქართველოს წარმოადგენს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

2016 წელს, საქართველო, ასევე, იქნება „ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის ახალი მიზნებისა და პოლიტიკის შემუშავების“ სამუშაო ჯგუფის წევრი ქვეყანა, რომელიც განსაზღვრავს ბოლონიის პროცესის შემდგომი ათწლეულის მიზნებს.

სამუშაო ჯგუფების ფარგლებში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უმასპინძლებს საერთაშორისო კონფერენციასა და სემინარს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებში განვითარებაზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის, განათლებისა და ეკონომიკური განვითარების საკითხებზე.

2015 წლის 17 დეკემბერს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ბოლონიის პროცესის სამუშაო ჯგუფების თანათავმჯდომარე ქვეყნების წარმომადგენელთა პირველ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, სადაც განხილულ იქნა სამუშაო ჯგუფების ტექნიკური დავალებები, 2016 წლის სამოქმედო გეგმა და ურთიერთთანამშრომლობის შესაძლებლობები სამუშაო ჯგუფებს შორის. საქართველო, ასევე, წარმოდგენილი იყო 2015 წლის სექტემბერში ლუქსემბურგში გამართულ ბოლონიის პროცესის განხორციელების ჯგუფის შეხვედრაზე, რომელიც ლუქსემბურგისა და ლიხტენშტეინის თანათავმჯდომარეობის ფარგლებში გაიმართა. შეხვედრაზე განიხილეს ბოლონიის პროცესის სამუშაო ჯგუფების ამოცანები და მოვალეობები, ასევე, სამწლიანი სამოქმედო გეგმა 2015-2018 წლებისათვის. მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ სამუშაო ჯგუფებში აქცენტი გაკეთდებოდა მონაწილე ქვეყნების მიერ როგორც ბოლო ათწლეულის მანძილზე განსაზღვრული მიზნების განხორციელებაზე, ასევე ინოვაციების ხელშეწყობასა და სამომავლო ხედვის ჩამოყალიბებაზე. შემდგომი სამი წლის განმავლობაში ჯგუფის საქმიანობა დაეფუძნება ერევნის კომუნიკესა და ბოლონიის პოლიტიკის მეოთხე ფორუმის განაცხადში აღნიშნულ მიზნებს.

2015 წლის განმავლობაში სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი აქტიურად მონაწილეობდა ბოლონიის პროცესის განხორციელების ჯგუფის საქმიანობაში. მომზადდა განაცხადები ცენტრის სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობის შესახებ, ცენტრის წარმომადგენლები ჩართულნი იყვნენ ბოლონიის პროცესის ფარგლებში შემუშავებული დოკუმენტების განხილვაში. 2015 წლის 14-15 მაისს საქართველომ მონაწილეობა მიიღო ერევნის მინისტერიალის კონფერენციაზე, სადაც მიიღეს ერევნის კომუნიკე, რომელსაც საფუძვლად დაედო ბოლონიის 2015-2018 წლების სტრატეგია. ერევნის მინისტერიალზე საქართველოს წარმომადგენლებმა გამართეს ორმხრივი შეხვედრები უკრაინის, ლიტვის, ესტონეთის, ბელარუსის, პორტუგალიისა და გერმანიის წარმომადგენლებთან, განიხილეს ორმხრივი თანამშრომლობის პერსპექტივები. მხარეებმა ასევე გაცვალეს ინფორმაცია განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების, გამოწვევებისა და მათი გადაჭრის გზებზე.

2015 წლის 24-25 მარტს, საქართველომ მონაწილეობა მიიღო რიგაში გამართულ ბოლონიის პროცესის განხორციელების ჯგუფის შეხვედრაში, სადაც მთავარი განსახილველი საკითხი იყო ერევნის კომუნიკესა და EQAR-ის განცხადების პროექტები. ამასთანავე, განიხილეს ბოლონიის პროცესში ბელარუსის მიერთების საკითხი, რომელსაც საქართველომ მხარი დაუჭირა.

7.4 „სამაგისტრო პროგრამა განათლების მენეჯმენტში: ლიდერების აღზრდა საგანმანათლებლო რეფორმებისათვის" (MAHATMA)

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კოორდინირებითა და ორგანიზებით 2015 წლის ივნისში ტემპუსის პროექტის ფარგლებში „სამაგისტრო პროგრამა განათლების მენეჯმენტში: ლიდერების აღზრდა საგანმანათლებლო რეფორმებისათვის"

ოთხ ქართულ პარტნიორ უნივერსიტეტში საერთაშორისო ექსპერტთა ვიზიტები განხორციელდა. 2015 წლის 9-10 ივნისს ექსპერტებმა პირველი ვიზიტი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში განახორციელეს. ორი კვირის განმავლობაში ექსპერტები ასევე ესტუმრნენ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

ვიზიტისას ექსპერტთა საერთაშორისო გუნდის შეხვდა აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, კურსდამთავრებულებს და პოტენციურ დამსაქმებლებს. ვიზიტების შედეგად მომზადდა ანგარიშები და რეკომენდაციები, რომლებიც მიაწოდეს პროექტის კოორდინატორსა და მონაწილე უნივერსიტეტებს.

პროექტი ევროკავშირის განათლების, აუდიო-ვიზუალური და კულტურის აღმასრულებელი სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით ტემპუსის პროგრამის ფარგლებში 2012 წლის ოქტომბერში დაიწყო. პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს ახალი სამაგისტრო პროგრამის განვითარებას უმაღლესი განათლების მენეჯმენტში საქართველოსა და სომხეთში.

პროექტის ამოცანებია:

- უმაღლესი განათლების მენეჯმენტში სამაგისტრო პროგრამის განვითარება;
- ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესება;
- დიალოგის ხელშეწყობა დაინტერესებულ მხარეთა შორის პროფესიული ასოციაციის დაარსების გზით;
- სამაგისტრო პროგრამის განვითარება, სადაც ინტეგრირებული იქნება სწავლებისა და სწავლის ინოვაციური და უმაღლესი განათლების მენეჯმენტის მეთოდები.

პროექტი მოიცავს 9 სამუშაო პაკეტს:

1. სასწავლო პროგრამების განვითარება;

2. თანამშრომელთა შესაძლებლობების გაზრდა;

3. ახალი სასწავლო პროგრამის პილოტირება;

4. ახალი სამაგისტრო პროგრამის პირველადი აკრედიტაცია;

5. განათლების სპეციალისტების პროფესიული ასოციაციის დაარსება;

6. პროექტის მიმდინარეობის და შედეგების შესახებ ინფორმაციის გავრცელება;

7. ხარისხის კონტროლი და მონიტორინგი;

8. პროექტის შედეგების მდგრადობა;

9. პროექტის მენეჯმენტი.

7.5 „ტრანსნაციონალური განათლების ხარისხისა და აღიარების ხელშეწყობა სომხეთსა და საქართველოში“ (QA_TNE)

ტემპუსის პროექტის „ტრანსნაციონალური განათლების ხარისხისა და აღიარების ხელშეწყობა სომხეთსა და საქართველოში“ ფარგლებში, 2015 წლის 21-22 სექტემბერს, გაიმართა სამუშაო შეხვედრა პარიზში, იუნესკოს განათლების დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტში. სამუშაო შეხვედრაზე განიხილეს ტრანსნაციონალური განათლების რეგულირებისა და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხები სომხეთსა და საქართველოში. შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კოორდინირებით მომზადებული დოკუმენტი „ტრანსნაციონალური განათლება - საქართველოს კონტექსტი.” დოკუმენტში ასახულია საერთაშორისო პრაქტიკა, ტრანსნაციონალურ განათლებასთან დაკავშირებული ტერმინთა განმარტებები, ტრანსნაციონალური განათლების საერთაშორისო სახელმძღვანელო პრინციპები. დოკუმენტი ასახავს საქართველოში არსებულ მდგომარეობას, გაანალიზებულია არსებული აკრედიტაციის სტანდარტები და მათი მიმართება ევროპულ სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებთან, აგრეთვე, ერთობლივი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ მიდგომებთან.

სამწლიანი პროექტის ფარგლებში იგეგმება ერთობლივი პროგრამების შეფასების ინდიკატორების პროექტის შემუშავება და პილოტირების განხორციელება პარტნიორ უნივერსიტეტებში.

პროექტის ფარგლებში, ასევე, გაიმართა შეხვედრა ბათუმის სახელმწიფო აკადემიაში 2015 წლის 23-24 ივნისს, რომელშიც მონაწილეობა მიიღო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა. შეხვედრის ერთ-ერთი მიზანი იყო პროექტის სამუშაო ჯგუფის მიერ ტრანსნაციონალური განათლების შეფასების ინდიკატორების განვითარება.

პროექტის კოორდინატორია ფრანგული უნივერსიტეტი სომხეთში. პროექტის პარტნიორები არიან: დიდი ბრიტანეთის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო (QAA), ხარისხის უზრუნველყოფის განვითარების ევროპული ფონდი (EFMD), სომხეთის განათლების ხარისხის ცენტრი (ANQA), იუნესკოს განათლების დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტი (საფრანგეთი), კავკასიის უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, საზღვარგარეთ არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

ცენტრი პროექტის ოფიციალური პარტნიორი გახდა 2015 წელს, თუმცა აღნიშნულ პროექტში ჩართულია 2014 წლიდან. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის

ჩართულობით მომზადდა სახელმძღვანელო, სადაც მოცემულია ინფორმაცია ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში პარტნიორი ქვეყნების გამოცდილებისა და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების საუკეთესო პრაქტიკის შესახებ.

7.6 თანამშრომლობა ირლანდიის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან

2015 წლის 29 ოქტომბერს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა მონაწილეობა მიიღო ირლანდიის ქალაქ დუბლინში ერაზმუს პლუს 2016-ის ფარგლებში განხორციელებულ შეხვედრაში. შეხვედრას ესწრებოდნენ ირლანდიის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები. შეხვედრაზე წარმოადგინეს პრეზენტაცია საქართველოსა და ირლანდიას შორის უმაღლესი განათლების სფეროში თანამშრომლობის შესაძლებლობების შესახებ. ირლანდიის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებმა მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემისა და არსებული მდგომარეობის შესახებ.

30 ოქტომბერს შეხვედრები გაიმართა ერაზმუს პლიუსის საერთაშორისო განათლების ცენტრის ხელმძღვანელსა და ირლანდიის ხარისხისა და კვალიფიკაციების სააგენტოს წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე განიხილეს ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში მხარეებს შორის არსებული გამოცდილება, ერაზმუს პლუსის ფარგლებში თანამშრომლობის პერსპექტივები და ქართველი სტუდენტებისათვის ირლანდიაში სწავლის გასაგრძელებლად სტიპენდიების მიღების შესაძლებლობები. შეხვედრები მიმდინარეობდა ირლანდიაში საქართველოს საელჩოს კოორდინირებითა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით.

8. პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამა

საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის განვითარების 2013-2020 წლების სტრატეგიის ფარგლებში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი 2013 წლიდან ახორციელებს „პროფესიული კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამას“, რომლის მიზანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული მეთოდოლოგიის დანერგვით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხისა და რელევანტურობის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს მოდულური კომპეტენციებზე დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა. აღნიშნულის ფარგლებში პროგრამა შეიმუშავებს პროფესიულ სტანდარტებს, საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩოებსა (სტანდარტულ საგანმანათლებლო პროგრამებს) და მოდულებს, ასევე მათ შესაბამის სასწავლო მასალებს. მოდულური პროგრამების დანერგვის პროცესის ხელშეწყობის მიზნით მუდმივად ახორციელებს ინდივიდუალურ და ჯგუფურ კონსულტაციებს ადგილზე და დისტანციურად.

2015 წელს შემუშავდა 99 პროფესიული სტანდარტის (და შესაბამისი შეფასების სტანდარტების, როგორც პროფესიული სტანდარტების კომპონენტების), 101 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტისა და შესაბამისი მოდულების პროექტები; ასევე, 51 სახელმძღვანელო და მასწავლებლის 7 გზამკვლევი.

2015 წელს განხორციელდა ცვლილება „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში, ხოლო აღნიშნული ცვლილების საფუძველზე შემუშავდა და ცენტრის დირექტორის შესაბამისი ბრძანებებით დამტკიცდა „პროფესიული სტანდარტების, საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებისა და მოდულების შემუშავებისა“ და დარგობრივი

საბჭოების შექმნისა და საქმიანობის“ წესები[1], რამაც შექმნა სამართლებრივი ბაზა დარგობრივი საბჭოების ფუნქციონირების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგარმების ჩარჩო დოკუმენტების დამტკიცებისა და მოდულური პროფესიული პროგრამების დანერგვისათვის.

2015 წელს მუშაობა დაიწყო თერთმეტი მიმართულების დარგობრივმა საბჭომ. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში დაიგეგმა და განხორციელდა მეთოდოლოგიური ტრენინგები დარგობრივი საბჭოების წევრებისთვის, დარგობრივი საბჭოების ფუნქციებისა და კომპეტენციების, ასევე პროფესიული კვალიფიკაციების ფორმირების წესის გაცნობის მიზნით. სემინარში მონაწილეობა დარგობრივი საბჭოების 65-მა წევრმა მიიღო.

2015 წლის განმავლობაში 20 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ჩატარდა დარგობრივი საბჭოების 22-მდე სხდომა, სადაც განიხილეს და მოიწონეს იქნა 80-ზე მეტი პროფესიული სტანდარტი, 80-ზე მეტი მოდულური პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი (1500-ზე მეტი ზოგადი და პროფესიული მოდული).

დარგობრივი საბჭოების დადებითი რეკომენდაციების საფუძველზე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულია 54 პროფესიული სტანდარტი და 54 მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი. ყველა დამტკიცებული სტანდარტი, პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი და მოდული განთავსდა ერთიან რეესტრში, რომელიც პროგრამასთან თანამშრომლობით შეიქმნა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ ბაზაში (http://vet.ge/jump_profession/direction/).

[1] განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 13 ივლისის №489, №490 და №491 ბრძანებებით დამტკიცდა „დარგობრივი საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესი“, „დარგობრივი საბჭოების შემადგენლობა“ და „დარგობრივი საბჭოების საქმიანობის ანაზღაურების წესი“.

2015 წლის თებერვალში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, სახელმწიფო, საჯარო, საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით მომზადდა მინიმალური აღჭურვილობისა და გარემოს ნორმატივების შემუშავების მეთოდოლოგია და ფორმატი. მინიმალური აღჭურვილობისა და გარემოს ნორმატივები წარმოაგდენს მოდულების განუყოფელ ნაწილს. შესაბამისად, შემუშავდა მინიმალური აღჭურვილობისა და გარემოს ნორმატივების პროექტები 163 საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის მოდულებისთვის.

მოდულური პროფესიული პროგრამების დანერგვის პროცესის ხელშეწყობის მიზნით მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა საინფორმაციო შეხვედრები (8 შეხვედრა), ასევე, მოთხოვნისამებრ, მოდულური პროფესიული პროგრამების განხილვები (39 შეხვედრა) სახელმწიფო და კერძო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან. დამატებით, მოდულური პროფესიული პროგრამების განხორციელებით დაინტერესებული 36 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის ადგილზე კონსულტაციები ჩატარდა მოდულური პროგრამების მომზადებასა და შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის განახლების, საგანმანთლებლო პროგრამების ადაპტირებისა და საავტორიზაციო განაცხადების შედგენის საკითხებზე (2 თვის განმავლობაში 72 საკონსულტაციო ვიზიტი).

მეწარმეობის, კომუნიკაციისა და ინტერპერსონალური უნარების მოდულების განმახორციელებელმა 119 მასწავლებელმა გაიარა მოდულების ავტორების მიერ ორგანიზებული მეთოდოლოგიური ტრენინგები.

ჩატარდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა, უმაღლესი და პროფესიული საგანმანთლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოების წევრთა საინფორმაციო სემინარი (23 მონაწილე).

გაეროს განვითარების პროგრამის „საქართველოში სოფლის მეურნეობის სფეროში პროფესიული განათლებისა და ექსპენციის სერვისების მოდერნიზაციის პროექტთან“ თანამშრომლობით მომზადდა მოდულური პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის კონცეფცია, რომელიც გულისხმობს მუდმივ შიდა და პერიოდულ გარე დაკვირვებას და მხარდაჭერას.

მოდულური პროფესიული პროგრამების განხორციელების პროცესში მხარდაჭერის პროცესის უზრუნველსაყოფად პროგრამის ფარგლებში განხორციელდა საკონსულტაციო და მონიტორინგის ვიზიტები მოდულური პროგრამების განმახორიელებელ ყველა, 26 დაწესებულებაში.

14-15 ნოემბერს კაჭრეთში, სასტუმრო,,ამბასადორში“ გაიმართა სემინარი მოდულური პროფესიული პროგრამების დანერგვის საკითხებთან დაკავშირებით, სადაც გაეროს განვითრების პროგრამის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს,

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, პროფესიულ კვალიფიკაციათა ხელშეწყობის პროგრამისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების

წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. სემინარზე განიხილეს მოდულური პროფესიული პროგრამების დანერგვის მოსამზადებელი პერიოდის ღონისძიებები, დანერგვის პროცესში გამოვლენილი პრობლემებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება, პასუხისმგებელ უწყებებისთვის მომზადდა წინადადებები მათი გადაჭრისა და პრევენციის მიზნით.

2015 წლის საშემოდგომო მიღებით დაიწყო საქართველოს მასშტაბით მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებში. 2015 წლის საშემოდგომო მიღებაზე 32-მა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელმა დაწესებულებამ (მ.შ. 10 უმაღლესმა საგანმანთლებლო დაწესებულებამ) შეიტანა განაცხადი 52 დასახელების 122 პროგრამაზე. 2015 წლისთვის ავტორიზაცია გაიარა 26-მა დაწესებულებამ 45 დასახელების 87 პროგრამაზე (და მათში შემავალ 644 სავალდებულო და 120 არჩევით პროფესიულ მოდულზე). აღნიშნულ მოდულური საგანმანათლებლო პროგრამებზე დარეგისტრირდა და ტესტირება გაიარა 2873 აპლიკანტმა. მოდულურ პროგრამებზე 2015 წლის საშემოდგომო მიღებისას სახელმწიფო დაწესებულებებში - 1154 სტუდენტი. კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებში 109 სტუდენტი ჩაირიცხა.

9. პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და ინტერნაციონალიზაცია

9.1. WorldSkills Georgia - მონაწილე

2012 წლიდან განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად პროფესიული განათლების პოპულარიზაციის, ხარისხის გაუმჯობესებისა და საერთაშორისო სტანდარტთან დაახლოების მიზნით ახორციელებს პროექტს WorldSkills Georgia. 2015 წელს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის (GIZ) მხარდაჭერით WorldSkills Georgia განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სახელით WorldSkills International-ის სრულუფლებიანი წევრი გახდა.

საქართველოს გუნდმა მონაწილეობა WorldSkills-ის საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელიც 2015 წლის 11-16 აგვისტოს, ბრაზილიის ქალაქ სან-პაულუში გაიმართა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ 2014 წელს რიგით მეორე ეროვნულ შეჯიბრებაში გამარჯვებული 22 წლამდე ახალგაზრდები შემდეგ პროფესიებში: შედუღება - მალხაზ ჩიფჩიური, ვებდიზაინი - ანდრო ველიჩკო, სამზარეულო საქმე - გიორგი ჭეიშვილი, სარესტორნო სერვისი - ლეონარდო სტეფანოვი, ფლორისტიკა - ანა ვაშაძე, საპარიკმახერო საქმე - ლია ბულაური.

ლეონარდო სტეფანოვმა სარესტორნო სერვისში წარმატებული ასპარეზობისთვის მედალი (**Best of Nation**) დაიმსახურა.

საერთაშორისო შეჯიბრებას ესწრებოდნენ და მონაწილეებს გულშემატკივრობდნენ და ამხნევებდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე, მინისტრის მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი და ბრაზილიაში საქართველოს ელჩი ოთარ ბერძენიშვილი.

9.10 Worldskills Georgia-ს გუნდის წევრის საერთაშორისო წარმატება მსოფლიოს ახალგაზრდების პროფესიული უნარების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში

15 ივლისი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ აღიარებულა მსოფლიოს ახალგაზრდების პროფესიული უნარების დღედ. ამ დღესთან დაკავშირებით Worldskills International-ის პრეზიდენტმა, საიმონ ბარტლიმ Worldskills-ში გაერთიანებულ ახალგაზრდებს მსოფლიოს ახალგაზრდების პროფესიული უნარების დღის აღნიშვნაში მონაწილეობისკენ მოუწოდა. ახალგაზრდებს უნდა მოემზადებინათ მოკლე ვიდეო

საკუთარი პროფესიული უნარის შესახებ და აეტვირთათ „იუთუბზე“.

Worldskills Georgia-ს კონკურსანტმა ფლორისტიკაში, ანა ვაშაძემ მოამზადა და ატვირთა ვიდეო, რომელშიც ძალიან მომხიბვლელად წარმოადგინა ერთი სამუშაო დღე, ასევე მცირე

ინფორმაცია მისი ცხოვრებიდან. რამდენიმე დღეში ანამ მიიღო მეილი, სადაც მას Worldskills International-ის კომუნიკაციების, მარკეტინგისა და ღონისძიებების დეპარტამენტის დირექტორი მიშელ ბუსი გამარჯვებას ულოცავდა.

სან-პაულოში, კონკურსის დროს კი Worldskills International-ის პრეზიდენტმა, საიმონ ბარტლიმ ანა ვაშაძე Samsung-ის პლანშეტით და სხვა სამახსოვრო პრიზებით დაასაჩუქრა (https://www.youtube.com/watch?v=uK8gdKH7f4E). ცერემონიას ესწრებოდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე, მინისტრის მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი და ბრაზილიაში საქართველოს ელჩი ოთარ ბერძენიშვილი.

დანართი 1.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრუქტურა


ცენტრის დირექტორი
ცენტრის დირექტორის მოადგილე
ხარისხის ეროვნული საბჭოები
გამოცდების საბჭოებისა.
ხელოვნური ინტელექტის და ციფრული ტექნოლოგიების საბჭოებისა.
ზუსტი მეცნიერებების, ბუნებისმეტყველების და მონაცემთა ანალიზის საბჭოებისა.
ცენტრის დირექტორის მოადგილე
გამოცდების დიზაინისა და ტექსტების საბჭოები
ეროვნული ტესტირების ცენტრის საბჭოები
ბიზნეს-პროცესების ავტომატიზაციისა და ციფრული ტრანსფორმაციის საბჭოებისა.
ბიბლიოთეკების, არქივების და მუზეუმების საბჭოებისა.
ეროვნული ბიბლიოთეკის, ეროვნული არქივის, ეროვნული მუზეუმის საბჭოები
ბიბლიოთეკების, ინფორმაციისა და ბიბლიოლოგიის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, ბიბლიოლოგიის

დანართი 2. უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები

ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები		ავტორიზაციის მინიჭების ვადა
	უნივერსიტეტები	
1	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	01/09/2012
2	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	02/10/2012
3	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	01/09/2012
4	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	01/09/2012
5	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	01/09/2012
6	ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	26/03/2013
7	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	01/09/2012
8	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	10/01/2013
9	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	01/09/2012
10	შპს - საქართველოს უნივერსიტეტი	30/12/2014
11	სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	01/09/2012
12	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	30/12/2014
13	სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	01/09/2012
14	შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	01/09/2012
15	შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	29/07/2015
16	შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	30/12/2014
17	შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	01/09/2012
18	შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	01/09/2012
19	შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	01/09/2012
20	შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	19/11/2012
21	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	31/12/2013
22	სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია	01/09/2012
23	შპს - ქუთაისის უნივერსიტეტი	01/09/2012
24	ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	22/11/2012
25	შპს - დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი	01/09/2012

26	ააიპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი	14/12/2015
27	შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	03/06/2015
28	სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	24/02/2014
29	ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია	25/12/2014
30	ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ-უნივერსიტეტი	10/10/2013
31	ა(ა)იპ - ახალი საქართველოს უნივერსიტეტი	14/12/2015
	სასწავლო უნივერსიტეტი	
1	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	08/12/2014
2	სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	01/09/2012
3	შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ	24/12/2014
4	შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი	24/11/2013
5	შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი	03/12/2012
6	შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი	01/09/2012
7	შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი	01/09/2012
8	ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი"	26/07/2013
9	შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი ,,გორგასალი"	23/10/2012
10	შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია	01/09/2012
11	შპს - სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი	17/12/2014
12	შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი	03/12/2013
13	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	06/11/2012
14	შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი	15/02/2013
15	შპს - სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი	24/12/2014
16	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	01/01/2014
17	შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი	01/09/2012
18	შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტი ჰიპოკრატე	01/09/2012
19	შპს გრიგოლ ხვიტიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტი	03/11/2011
20	შპს - ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი	21/01/2011
21	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია	08/09/2011
22	ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელი	25/12/2014
23	ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია	25/12/2014

24	შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტი	24/01/2014
25	შპს წმინდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი	19/05/2014
26	სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	19/05/2014
27	სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია	13/06/2014
28	შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი	05/02/2015
29	შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტი	11/05/2015
კოლეჯი		
1	შპს - უმაღლესი სასწავლებელი "ჯორჯია"	22/11/2012
2	ა(ა)იპ - საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი საზოგადოება ცოდნა	22/11/2012
3	სსიპ ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯი	03/01/2014
4	შპს - ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი	23/02/2015
5	ა(ა)იპ - წმიდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის ცაგერის სასულიერო სემინარია	25/12/2014
6	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქო გრემის სასულიერო სემინარია	25/12/2014
7	შპს ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებელი	01/08/2013
8	შპს ამერიკის ბიზნესის აკადემია	01/08/2013
9	შპს უმაღლესი სასწავლებელი განათლების აკადემია	01/08/2013
10	შპს - ახალი უმაღლესი სასწავლებელი	10/10/2013
11	შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA	12/12/2013
12	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ბათუმის სასულიერო სემინარია	25/12/2014
13	შპს ინტერბიზნესის აკადემია	20/11/2014
14	შპს თბილისის საერთაშორისო აკადემია	06/05/2015
15	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ახალციხის წმიდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სასულიერო სემინარია	14/12/2015
ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები		
პროფესიული კოლეჯი		
1	აა(ი)პ - პროფესიული კოლეჯი „იკაროსი"	29/08/2014
2	სსიპ - პროფესიული კოლეჯი "ბლექსი”	29/08/2014
3	სსიპ - პროფესიული კოლეჯი "ერქვანი”	29/08/2014
4	სსიპ - პროფესიული კოლეჯი "თეთნულდი”	29/08/2014
5	ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი "განთიადი”	29/08/2014
6	აა(ი)პ - პროფესიული კოლეჯი "პრესტიჟი”	29/08/2014
7	სსიპ - პროფესიული კოლეჯი "ფაზისი”	29/08/2014
8	აა(ი)პ - პროფესიული კოლეჯი "ჰორიზონტი”	29/08/2014
9	სსიპ - პროფესიული კოლეჯი ”ლაკადა”	29/08/2014

10	სსიპ - პროფესიული კოლეჯი „მოდუსი"	29/08/2014
11	ა(ა)იპ - ფერისცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალების ცენტრი	01/09/2014
12	შპს "ილია"-ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულება	30/08/2014
13	შპს - ბუღალტერთა მომზადების ცენტრი	30/08/2014
14	შპს - საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი "ეკვატორი"	30/08/2014
15	შპს - შიდა ქართლის პროფესიული კოლეჯი	28/06/2011
16	შპს - ზედაეწერის აგრობიზნესისა და ტექნოლოგიის კოლეჯი	18/08/2011
17	ა(ა)იპ - წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯი	08/09/2011
18	შპს "ორიენტირი+"	10/11/2011
19	შპს "ლაზარე+"	23/02/2012
20	შპს ჯავახეთის პროფესიული კოლეჯი	01/03/2012
21	შპს ხაშურის ილია ჭავჭავაძის სახელობის კოლეჯი	12/07/2012
22	შპს "ლაზიკა"	31/07/2012
23	შპს პროფესიული კოლეჯი მესამე სამედიცინო & ტურიზმის აკადემია	04/09/2012
24	ა(ა)იპ - კავკასიის პროფესიული კოლეჯი	18/09/2012
25	შპს - „პანაცეა"	23/10/2012
26	შპს - „არსი“	04/10/2012
27	შპს პროფესიული კოლეჯი ინტელექტი	07/08/2012
28	ა(ა)იპ "მენეჯერთა სასწავლებელი"	21/01/2014
29	ა(ა)იპ-პროფესიული კოლეჯი ფერმერთა სკოლა	24/12/2015
	საზოგადოებრივი კოლეჯი	
1	სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "ახალი ტალღა”	01/12/2011
2	სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი "აისი"	01/12/2011
3	სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი "იბერია”	13/12/2011
4	სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი "მერმისი”	29/08/2014
5	სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი "ოპიზარი”	29/08/2014
6	სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა	10/05/2012
7	სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრი"	29/08/2014
8	შპს - „ბარაკონი"	26/07/2013
9	შპს - „გურჯაანის მრავალპროფილიანი კოლეჯი +"	30/08/2014
10	შპს - „ცხუმ-ეგრისი"	20/06/2014
11	შპს - ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი	01/09/2014
12	შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA	01/09/2014
13	შპს - ირაკლი ფაღავას სახელობის აკადემია "დასტაქარი"	30/08/2014
14	შპს - მარნეულის სამედიცინო კოლეჯი	26/07/2013
15	შპს - მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი „იმედი"	31/10/2013
16	შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი	20/06/2014
17	ა(ა)იპ - „ადამიანი და ბუნება"	01/09/2014

18	შპს - ქუთაისის სამედიცინო სასწავლებელი	30/08/2014
19	შპს - „პროფიუნიტი”	25/01/2011
20	შპს - ,,ორიენტირი"	06/06/2011
21	შპს - ხარისხის მართვის საზოგადოებრივი კოლეჯი	28/06/2011
22	შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი	11/07/2011
23	შპს თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემია	11/07/2011
24	შპს - ქუთაისის სამედიცინო სკოლა	11/07/2011
25	შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი "გეორგია"	25/07/2011
26	შპს საზოგადოებრივი კოლეჯი - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემია	28/07/2011
27	შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი "პანაცეა"	04/08/2011
28	შპს ქუთაისის საზოგადოებრივი კოლეჯი	04/08/2011
29	შპს - წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯი	08/09/2011
30	შპს მრავალდარგოვანი საზოგადოებრივი კოლეჯი "მედიკ-ფორტე"	13/10/2011
31	ა(ა)იპ ახალციხის საზოგადოებრივი კოლეჯი	03/11/2011
32	შპს აგრობიზნესისა და აგროეკოლოგიის საზოგადოებრივი კოლეჯი	03/11/2011
33	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯი	13/12/2011
34	სსიპ - ქ. გორის ს. ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯი	22/12/2011
35	შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ,,კოლხა11''	18/01/2012
36	შპს საზოგადოებრივი კოლეჯი "პროფესიონალი"	13/12/2011
37	შპს საზოგადოებრივი კოლეჯი თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებელი	01/03/2012
38	შპს "სიო"	01/03/2012
39	შპს საზოგადოებრივი კოლეჯი "ეტალონი"	13/03/2012
40	შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი XXI საუკუნე	13/03/2012
41	შპს - თბილისის ტურიზმის აკადემია	13/12/2011
42	შპს საზოგადოებრივ კოლეჯი "საგანძური"	10/05/2012
43	შპს კოლეჯი გამა	10/05/2012
44	შპს "მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი"	07/06/2012
45	შპს საზოგადოებრივი კოლეჯი "ეკოლოგია და დიზაინი"	07/06/2012
46	შპს პროფესიული ინოვაციების კოლეჯი	12/07/2012
47	შპს საზოგადოებრივი კოლეჯი "კავკასიონი"	12/07/2012
48	შპს თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯი "გარანტი"	31/07/2012
49	შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი აღმაშენებელი	18/09/2012
50	შპს - სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯი	18/09/2012
51	შპს - "ამაგი"	09/11/2012
52	სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის "გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი"	13/09/2013

53	შპს - დავით აღმაშენებლის აკადემია	26/07/2013
54	შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია	21/01/2014
55	შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ლიდერი	20/06/2014
56	სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საზოგადოებრივი კოლეჯი	29/08/2014
57	შპს საერთაშორისო ტურიზმის აკადემია	17/10/2014
58	შპს ბათუმის სამედიცინო აკადემია	17/10/2014
59	ა(ა)იპ ახალქალაქის წმინდა ზოსიმე კუმურდოელის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი	17/10/2014
60	შპს საზოგადოებრივი კოლეჯი მომავალი	04/02/2015
61	შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Natali academy	04/02/2015
62	შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ელიტი	19/08/2015
63	შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ხარება	19/08/2015

დანართი N3 2015 წლის ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს ცვლილებები

№	მიმართულება	დარგი/სპეციალობა	ქვედარგი/სპეციალიზაცია	პროფესიული სპეციალიზაცია
2	ბიზნესის ადმინისტრირება		• ჰოსპიტალური მენეჯმენტი	• მოლარე • ბუღალტერ-ტექნიკოსი • კონსულტანტ-გამყიდველი • ოფისის მენეჯერი • საბაჟო საქმია სპეციალისტი • ღონისძიების მენეჯერი • ღონისძიების მენეჯერი • ბანკის მოლარე-ოპერატორი
4	ინჟინერია		• გაზმომარაგების სისტემების მშენებლობა და ექსპლუატაცია	• ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი • კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი • სისტემების ადმინისტრატორი • საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი • სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი) • ვებინტერფეისის დეველოპერი • ვებინტერფეისის დიზაინერი • ვებპროგრამისტი • პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპერი • დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი • ელექტრული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს-შემკეთებელი • კომპიტერული საინჟინრო გრაფიკის ოპრერატორი • თაბაშირ-მუყაოს

				კონსტრუქციების მემონტაჟე • ზეინკალ-სანტექნიკოსი • ფილამწყობისატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორი • სამკერვალო ნაწარმის ხარისხის მართვის სპეციალისტი • საკერავი მანქანის ოპერატორი • ზეინკალ - სანტექნიკოსი • სამკერვალო ნაწარმის ხარისხის მართვის სპეციალისტი
5	განათლება			• ბაგა-ბაღის აღმზრდელი-პედაგოგი
7	სოციალური მეცნიერებები			• ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი
8	ხელოვნება			• ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი • თექის ოსტატი • ღონისძიების დიზაინერი • ავეჯის კონსტრუირების სპეციალისტი • თმის სტილისტი • ვიზაჟის სპეციალისტი
9	ჯანდაცვა		• საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის პათოლოგიათა რეაბილიტაცია • ნეირორეაბილიტაცია • ველნეს თერაპია	• მასაჟისტ -რეაბილიტატორი
11	მიმართულება თაშორისი დარგები ან სპეციალობები	• ჯანმრთელობის მეცნიერებები • ურბანისტიკა	• ენისა და მეტყველების თერაპია • სპორტის ფიზიოლოგია	• არქიტექტორ - ტექნიკოსი • ტუროპერატორი • საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი • სასტუმრო საქმის სპეციალისტი • მიღება-განთავსების სპეციალისტი • რესტორნის სერვისმენეჯერი • მწვრთნელი (სახეობის დაკონკრეტებით) • მსაჯი (სახეობის

				დაკონკრეტებით) • მაშველი • მყვინთავი • მეხანძრე-მაშველი

წითელი ფერით აღნიშნული ამოღებული კვალიფიკაციებია

ლურჯი ფერით აღნიშნული რედაქტირებული კვალიფიკაციებია